ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2239571

ნომერი: AR1342082

თარიღი : 15.09.2015

გაცემის თარიღი : 16.10.2015

გაცნობის თარიღი : 20.10.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , კვარტალი V , კორპუსი 10-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ყარალაშვილი პ/ნ 01020005639
- დიღმის მას. 5 კვ. კორპ 10 ბ 18

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ფუნქციური ზონის ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური გაეცნო თქვენს AR1342082 განცხადებას, რომლითაც გსურთ თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.13.03.001.001) ფუნქციური ზონის ცვლილება. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
იმისათვის, რომ არქიტექტურის სამსახურს მიეცეს შესაძლებლობა მოცემული საკითხი გადააგზავნოს "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" სხდომაზე განსახილველად, საჭიროა წარმოადგინოთ არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები. ამასთან, იმ შემთხვევაში, როცა ტერიტორია წარმოადგენს სხვის საკუთრებას, საჭიროა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის/ების თანხმობა ზემოაღნიშნულის განხორციელების თაობაზე, ანდა შესაძლებელია განცხადებაში მათი დაფიქსირება თანაგანმცხადებლად.
ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, სამსახურს მიეცემა შესაძლებლობა მოცემული საკითხი გადააგზავნოს "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" სხდომაზე განსახილველად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.